ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31221227**
თარიღი: **02/05/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №7

ლანჩხუთი 27.04.2022 წელი

11.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

4. „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

5. „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

13. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

სხდომას წარუდგინა ლევან ჩხაიძემ, მან განმარტა, რომ მოსახლეობამ განსაზღვრა პრიორიტეტები, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია ნუსხა დასამტკიცებლად.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 0 . თავი შეიკავა 3

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა. სხდომას გააცნო როლანდ ლაშხიამ მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში. გარდა ამისა, ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრის დაფინანსება უნდა შემცირდეს 100000 ლარით და მიიმართოს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების“ ცენტრის მომსახურების არეალის გაზრდისა და შესაბამისი სპეცტექნიკის (6 ერთეული) ექსპლუატაციის ჩართვიდან გამომდინარე მიმდინარე წლის დაფინანსება უნდა გაიზარდოს დამატებით 200000 ლარით, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 90000 ლარი, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებზე 110000 ლარი. ამასთან, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ორგანიზაციის წინადადებით უნდა შემცირდეს ოფისის მუხლი 2000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარით. აღნიშნულის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 6000 ლარით.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სისტემის მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით დაფინანსება უნდა გაიზარდოს 78000 ლარით, მათ შორის 74445 ლარი მიიმართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, 3555 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდინარე წლის 14 აპრილის N19 წერილის საფუძველზე უნდა შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 29000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 4000 ლარით. განხილული იქნა შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 7 მარტის N01-070322 წერილი 250000 ლარის გამოყოფის თაობაზე. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა 200000 ლარის გამოყოფა მიზნობრიობის განსაზღვრით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფრაქციის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ შეუმცირდა ქალთა საფეხბურთო კლუბს დაფინანსება 4000 ლარით, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ეს შემცირება გამოწვეული იყო სტადიონის იჯარის თანხის გამო, რასაც ეხლა არ იხდის კლუბი.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ წარმოუდგენელი იყო საფეხბურთო კლუბ გურიას თუ კიდევ ბიუჯეტიდან მოუწევდა დაფინანსება, მიუხედავად ამისა განაცხადა რო ის მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ საკითხს.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 1, თავი შეკავა 2 (ჯუმბერ ბლაგიძე მაკა მშვიდობაძე)

3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.სხდომას გააცნო როლანდ ლაშხიამ მან აღნიშნა,

რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრები: შემოსულობები მიღებულია 23103250 ლარი, გეგმა შესრულდა 103,8%-ით, მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 106,2%-ით, სხვა შემოსავლები შესრულებულია 110,9%-ით, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შესრულებულია 150,8%-ით, გრანტები მიღებულია პროგნოზით გათვალისწინებულის 97,9%. აქედან, გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 50000 ლარი (წლიური გეგმის 100%), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის 616461 ლარი (წლიური გეგმის 83,5%), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 5615068 ლარი (წლიური გეგმის 100,2 %). სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დასაფინანსებლად 748000 ლარი (წლიური გეგმის 100%), სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 2426643 ლარი (წლიური გეგმის 98,1%). საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 60000 ლარი (წლიური გეგმის 85,7%).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს (კაპიტალურის ჩათვლით) მიღებულია 13623458 ლარი, გეგმა შესრულებულია 108,4%-ით. მათ შორის: დამატებით ღირებულების გადასახადი 8471514 ლარი, წლიური პროგნოზის 103,2%, რაც მთელი შემოსავლების 62,18% -ს შეადგენს. საწარმოთა ქონების გადასახადი შემოსულია 392665 ლარი, წლიური პროგნოზის 130,9%. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსავალი მიღებულია 222729 ლარი, პროგნოზით გათვალისწინებულზე 132729 ლარით მეტი. არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადიდან შემოსავალი 649962 ლარს შეადგენს (108,3%). ჯარიმების, სანქციებისა და საურავების სახით ბიუჯეტში მიღებულია შემოსავალი 3080680 ლარი (107,6%). მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის შემოსულია 83452 ლარი (100,5 %). შემოსავალი მიწის (იჯარიდან და მართვაში უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 25538 ლარი (150,2%). 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 1511100 ლარი, მათ შორის; - დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე 1511100 ლარი. პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გამოყოფილი ასიგნების ათვისება შემდეგია; - ინფრასტუქტურის განვითარებაზე გეგმიური 13681448 ლარის ნაცვლად მიიმართა 10539916 ლარი, (77,04 %). - განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 3172434 ლარი, ნაცვლად 3634640 ლარისა. (87,3 %). - კულტურის სფეროს განვითარებაზე მიიმართა 2625523 ლარი, ნაცვლად 2812184 ლარისა, (93,3 %). - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე მიმართულია 164864 ლარი, ნაცვლად 174500 ლარისა (94,4 %). - სოციალური ღონისძიებების დაცვაზე მიიმართა 703439 ლარი, ნაცვლად 739342 ლარისა, (95,1%) - მმართველობითი ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 3293898 ლარი, ნაცვლად 3597722 ლარისა (91,5%).

2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკასო ხარჯმა 22022686 ლარი შეადგინა, პროგნოზით გათვალისწინებული ხარჯების 84,1%. საბიუჯეტო დაწესებულებებში შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 5127298 ლარი, გაწეული საკასო ხარჯების (კაპიტალურის გარეშე) 40,2%. შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 2205639 ლარი (ხარჯების 17,3%). ოფისის ხარჯებზე მიიმართა 986626 ლარი (7,7%), წარმომადგენლობით ხარჯებზე 13268 ლარი. კვების ხარჯების დაფინანსებამ 150816 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,2%. შეძენილ იქნა 51626 ლარის რბილი ინვენტარი. ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯმა 1308635 ლარი შეადგინა, რაც საკასო ხარჯების 10,2% შეადგენს. სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 697226 ლარი (5,5%). მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით აღებული (ნაგავმზიდების შეძენის) სესხის ძირითადი ვალდებულება დაიფარა 58 008 ლარით, ხოლო მომსახურების პროცენტი 29998 ლარით. სულ ამ მიმართულებით გაიხარჯა 88006 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების დაფინანსებაზე მიმართულია 339000 ლარი. სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 703439 ლარი (ხარჯების 3,19 %). სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 865794 ლარი, აქედან 668571 ლარი მიმართულია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მიმართულია 9704708 ლარი, ბიუჯეტით გაწეული საკასო ხარჯების 44,1%. აქედან, გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიიმართა 7233766 ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე 86973 ლარი, გარე განათების ქსელის მოწყობაზე 524159 ლარი, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე გაიხარჯა 432913 ლარი, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე 243850 ლარი, განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე 105623 ლარი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე 32698 ლარი, კულტურის ობიექტებზე მიიმართა 5556 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 733997 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციებისთვის გაიხარჯა 776862 ლარი, გეგმის 88,97%, მ.შ. შტატით დასაქმენულ პერსონალზე 499092 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 197872 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 58824 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 2071371 ლარი, გეგმის 91,79%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებულ პერსონალზე გაიცა შრომის ანაზღაურება 1432669 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე მიიმართა 615721 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 149225 ლარი. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 135625 ლარი, გეგმის 94,64%, შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 113251 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 22374 ლარი.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრი დაფინანსდა 177823 ლარით გეგმის 99,06%, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 1256810 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 52142 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზრაურებაზე 36760 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიმართა 1965937 ლარი გეგმის 99,1%, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 351635 ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯმა 1608743 ლარი შეადგინა, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 902385 ლარი. ღონისძიების მიხედვით დაფინანსდა; წყლის სისტემის (სოფლები) ექსპლუატაციის ხარჯებზე მიიმართა 86973 ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე 182159 ლარი. სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე გაიხარჯა 112106 ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობაზე 20040 ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობაზე 157291 ლარი, დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 1345341 ლარი, უპატრონო ცხოველების დაცვით ღონისძიებაზე 19980 ლარი.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის ფუნქციონირებაზე მიიმართა 2586138 ლარი, გეგმის 95.64%, მათ შორის შტატით მომუშავეთა ანაზღაურებაზე 1727457 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 746718 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 166072 ლარი, კვების ხარჯები დაფინანსდა 150816 ლარით. 111964 ლარი მიიმართა არაფინანსური აქტივების შეძენაზე.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯმა 453882 ლარი შეადგინა.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 557727 ლარი გეგმის 96.74%. მათ შორის, შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება 100198 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 340659 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 277647 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 84870 ლარი.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე მიიმართა 296665 ლარი გეგმის 99.99%. მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება 39600 ლარია, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 249523 ლარი, აქედან 214116 ლარი გაიხარჯა შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 2700 ლარი.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიმართა 873186 ლარი, გეგმის 97.67%, მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებამ 349987 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 476661 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 345853 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 35648 ლარი.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიმართა 328150 ლარი, გეგმის 99,98%, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 287973 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 35183 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 27300 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 4994 ლარი.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებამ 162799 ლარი შეადგინა გეგმის 95.54%, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებამ 99757 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურების ხარჯი 61942 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 27456 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 1100 ლარი.

შ.პ.ს. „ლანჩხუთი“-ს /მუნიციპალური სტადიონი/ ფუნქციონირებაზე გაიხარჯა (სუბსიდია) 185000 ლარი, გეგმის 100%. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 23400 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 146649 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე 111827 ლარი.

შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს საანგარიშო პერიოდში საკასო

ხარჯმა შეადგინა 154000 ლარი, გეგმის 100%. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 16896 ლარი, საქონელი და მომსახერება 137104 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 137104 ლარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 0. თავი შეკავა 3

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე - „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით 100 000 ლარი ბიუჯეტში გათვალისწინებულია ადგილობრივი ხარჯებიდან, ამდენივე თანხას გამოყოფს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე - „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გიორგი ხელაძემ. მან განმარტა, რომ საკრებულოში შემოსულია ინიციატივა, სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ეროვნული გმირის, ვაჟა თამაზის ძე თოდუას სახელი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

6. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ მაკა მშვიდობაძემ. მან აღნიშნა რომ, წარმოდგენილი გეგმა უკვე განხილული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე და მის ფარგლებში მოხდება საქმიანობის განხორციელება შემდგომში.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გიორგი ნაჭყებიამ. მან აღნიშნა რომ, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს 21 მარტის #08- 302208043 წერილით ეცნობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N1/1-705 ბრძანების თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში შემდეგი ქონებების გადმოცემის შესახებ:

1) ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W სახელმწიფო № EE-903-TT;

2) ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W სახელმწიფო № EE-902-TT;

3) ნაგავმზიდი - (4X2) IVECO EUROCARGO ML 110EL22 სახელმწიფო № LL-543-FF;

4) ნაგავმზიდი ავტომობილი - BMC TGR 2532 WBL სახელმწიფო № YY-749-IY;

5) თვითმცლელი - Ford Trucks 1833D DC (4X2) სახელმწიფო № FQ-276-QF;

6) თვითმცლელი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 150E25W სახელმწიფო № EE-852- TT;

7) 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნარჩენების განთავსების კონტეინერი - 500 ცალი.

აღნიშნული ქონებები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ აყვანილია მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

8. დღის წესრიგის მერვე საკითხზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გიორგი ნაჭყებიამ. მან აღნიშნა რომ, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განახლება ხდება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ამორტიზებული ორთქლის ქვაბი ჯართის სახით, სავარაუდო წონა 2500 კგ. (საწყისი საპრივატიზებო საფასური **-** 1 კგ-ს სავარაუდო ღირებულება 0,75 ლარი) და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (136კვმ), შემდგომი განკარგვის მიზნით უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

9. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გიორგი ნაჭყებიამ. მან აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 31 მარტის N08- 302209033 წერილით გვეცნობა სამი ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხურის გადმოცემის შესახებ. საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 14100 ლარს. აღნიშნული ქონებები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ აყვანილია მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

10. დღის წესრიგის მეათე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ეკა გუჯაბიძემ, მან განმარტა, რომ წინა საშტატო ნუსხა არასწორად იყო შედგენილი, რაც რეორგანიზაციის შედეგად დაკორექტირდა და მოვიდა შესაბამისობაში. ასევე აღნიშნა, რომ კანონით აკრძალულია ხელფასის შემცირება, ხელფასის შემცირება არ ხდება პოზიციაზე, თვისობრივად ახალი სტრუქტურა არის წარმოდგენილი, სადაც მოხდა პოზიციის ცვლილებები, თანამშრომელთა დანიშვნა მოხდება მობილობის წესის შესაბამისად.

ფრაქციის წევრი, ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა თუ როდის დასრულდება რეორგანიზაცია, რაზედაც ეკა გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ 28 აპრილს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, დადგენილების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 31 მაისი, რის შემდეგაც ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება დაიწყებს კადრების დანიშვნას. ვაკანსიის შემთხვევაში გამოცხადდება კონკურსი. რეორგანიზაცია არის პირველი ეტაპი, ხოლო შემდგომში მოხდება დაკვირვება და საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება ცვლილებები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 0, თავი შეიკავა 3.

11. დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ია ჩხაიძემ. მან აღნიშნა რომ, მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით შეიცვალა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დასახელებები. შესამაბამისად პროგრამების განმახორციელებელი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანხვედრაში მოვიდეს ცვლილების პროექტით გათვალისწინებული წესი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

12. დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა. სხდომას გააცნო შოთა ჩაგუნავამ მან აღნიშნა რომ, ერთი ნორმატიული აქტით დამტკიცდება ზედამხედველობის სამსახურის ფორმები, როგორც სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ასევე დამტკიცდება სამშენებლო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით მითითების გაცემის შეთანხმების და დემონტაჟთან დაკავშირებული დაჯარიმების თუ სამშენებლო საქმიანობის ფორმები. დოკუმენტი წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას, ამიტომ შეთანხმებულია, როგორც განათლების სამინისტროსთან ენობრივი სისწორის კუთხით, ასევე შეთანხმება მიღწეულია სტამბასთან, ასევე სარეგისტრაციო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვაში: ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება რომ 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას 30-50% მდე ხელფასების მატება ა(ა)იპიებში.

ფრაქციის წევრების მოთხოვნაა, შიდა ტრანსპორტის მოწესრიგება, რათა მოსახლეობა ვერ ახერხებს დილით სამუშაო საათებში სამსახურში დროულად მისვლას, ასევე მათი მოთხოვნაა მოხდეს მთავრობასთან კონსულტაციები მუნიციპალიტეტისთვის დამატებით სამარშუტო ტაქსების (ავტობუსები) გადმოცემის მიზნით.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27.04. 2022 წელი

11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	10 50	
2	გოჩა ჯანაშია	10 50	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	10 50	